პატიოსნისა და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ქადაგება

(კვირისთვის 13.09.2020)

14 სექტემბერს მთელი მართლმადიდებლური სამყარო ზეიმობს, აღნიშნავს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლებას: „აჰა, ესერა მოიწია ჯვარისა მიერ და აღდგომისა სიხარული ყოვლისა სოფლისა" (საადღომო ლოცვა „აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ"). ამ დღესასწაულის დაარსებას სამი ისტორიული საფუძველი აქვს.

პირველი: 326 წელს წმ. ელენემ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედამ, გოლგოთის მახლობლად მოიპოვა წმ. ჯვრის ხე. როდესაც სამი ნაპოვნი ჯვრიდან სასწაულებრივი გზით განსაზღვრეს ჭეშმარიტი ქრისტეს ჯვარი, ცრემლმორეულმა წმ. ელენემ თაყვანი სცა მას და გადასცა იერუსალიმელეპისკოპოს მაკარს.

მეორე: მაცხოვრის დაფლვის ადგილზე წმ. ელენემ საფუძველი ჩაუყარა ქრისტეს აღდგომის ტაძარს, რომლის მშენებლობაც დასრულდა 335 წელს რის შემდეგაც იგი იკურთხა და გაიხსნა. მეორე დღეს, იმავე წლის 14 სექტემბერს, აღმართული იქნა ჯვარი. წმ. ჯვარი აღმართული იყო ეკლესიის შუაში და ყველა მორწმუნე ღრმა მღელვარებითა და მოწიწებით მიდიოდა რათა თაყვანი ეცა წმინდა ქრისტეს ჯვარისთვის.

მესამე: დიდი ხნის შეჩერების შემდეგ უფლის ჯვრის ამაღლების დღესასწაულის აღნიშვნა განაახლეს სამასი წლის პაუზის მერე. საქმე იმაშია, რომ როდესაც სპარსელები შეიჭრნენ და დაიპყრეს იერუსალიმი 614 წელს, მათ აიღეს აღდგომის ტაძრიდან ჯვარი და შენახული ჰქონდათ 14 წელი. 628 წელს ბიზანტიის ღირსეულმა იმპერატორმა ირაკლიმ დაამარცხა სპარტელები და წმ.ჯვარი იერუსალიმში დაბრუნა. 628 წლის 14 სექტემბერს იმპერატორი ირაკლი ფეხშველა, უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი ავიდა ამაღლების ტაძარში ჯვაროსნული მსვლელობით, მხრებზე ჯვარმოკიდებული და იერუსალიმელ პატრიარქ ზაქარიას გადასცა იგი.

პატრიარქმა ღრმა მოწიწებით მიიღო ჯვარი და საზეიმოდ აღმართა შუაგულ ეკლესიაში, ხოლო ყველა მორწმუნემ ერთად იგალობა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი..." იმ დროიდან დაწესდა ჯვრის ამაღლების დღესასწაული მთელს ქრისტიანულ ეკლესიაში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

IV საუკუნის დასაწყისში, წმ. ეკლესიის მამები თავიანთ დამრიგებლურ ქადაგებებში წმ. ჯვრის შესახებ, იყენებდნენ სხვადასხვა სახეობებსა და მეტაფორებს, რათა ეჩვენებინათ ის გამორჩეულად ძირითადი როლი და მნიშვნელობა, რომელიც ჯვარს აქვს ეკლესიის ცხოვრებასა და თითოეულმორწმუნისთვის.

ამავდროულად ჩვენ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო ჯვარს თავისითარანაირი მაგიური თვისებები არ გააჩნია. მთელ თავისი დანიშნულება მან მიიღო ღმერთკაც იესო ქრისტესგან, ნებაყოფლობით ჯვარზე, მილურსმულისგან რომელზეც მან თავისი სისხლი დაღვარა და აკურთხა იგი, ამით მადლის მატარელად აქცია. აი რატომ ამბობენ ღვთივშეგონებით აღვსებული ეკლესიის

მამები: ,,როდესაც მე თაყვანს ვცემ ჯვარს, მე, საერთოდ აღიარებით ვენათყვანები მას, ვინც იყო მასზე გაკრული. უფრო მეტად როდესაც მე პატივს მივაგებ ჯვარცმულ უფალს, მე უდავოთ თაყვანს ვცემ ჯვარს ამგვარად მოდით სათანადოდ თაყვანი ვცეთ ქრისტეს ჯვარს. მოდით მუხლი მოვიყაროთ მის წინაშე (და აგრეთვე) და მუხლმოყრამდე უფრო ადრე (მოდით) მის წინაშე შეურყეველი გულითქედი მოვიხაროთ"

როდესაც ჩვენ ვზეიმობთ წმ. ჯვრის დღესასწაულს, ყველა ეკლესიაში მყოფნი განსხივოსდებიან და ივსებიან ღვთიური სიხარულის სხივებით. ჯვარს აამაღლებენ და ფაქტიურად იგი ამაღლებს მთელს კაცობრიობას, რომელიც ცოდვის მორევში დაეცა. ჩვენ უკვე ეშმაკის ცეცხლოვანი ისრების აღარ გვეშინია, იმიტომ რომ წმ. ჯვარი გვიცავს. ჯვარი - ეს ჩვენთვის მილიონობით კურთხევის წყაროა. ჯვარი - ქრისტიანთა იმედია, სასოწარკვეთილთა ხსნაა, ნავთსაყუდელია მათთვის, ვინც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ექიმია ავადმყოფებისათვის; იგი განაგდებს ცოდვიან ვნებებს და გაძლიერებს რწმენაში. ჯვარი - ეს სასუფევლამდე სავალი კიბეა. ჯვარი გვიცავს განსაცდელისაგან, გვიფარავს საშიშროებისაგან, გვამხნევებს მწუხარებაში, გაჭირვების დროს გვეხმარება. ჯვარი იფარავს ქვრივებსა და ობლებს. ვინც უყურებს ჯვარს, ივსება მხნეობითა და შიშს სძლევს.

მოდით გადავიწეროთ პირჯვარი, როცა დილას გავიღვიძებთ, და ვმადლობდეთ უფალს, რომელმაც გვარგუნა დღის სინათლის დანახვის მადლი. მოდით დავიწყოთ და დავამთავროთ ჩვენი შრომა პირჯვრის გადასახვით. მოდით ჯვარი გადავისახოთ და მადლობა შევწიროთ ღმერთს ყოველი სიკეთისათვის, რომელსაც მისგან ვღებულობთ. გარდა ამისა, გაჭირვებისა და მწუხარების ჟამს მოვუხმოთ დახმარებისა და დაცვისათვის ყოვლისშემძლე და მოწყალე უფალს, გადავიწეროთ პირჯვარი; და მაშინ დარწმუნებულები ვიქნებით, რომ ჩვენ, ისევე როგორც სხვები, დავინახავთ ღვთის სასწაულებსა და მოწყალებას ჩვენს ცხოვრებაში.